

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N73 საცხოვრებელი სახლის
N54 ბინაზე, მოქალაქე როზა ნიშნიანიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა სულხან-საბას გამზირი N73/54 ბინაში მცხოვრები მოქალაქე როზა ნიშნიანიძის განცხადებები /2014 წლის 27.03 N6-2103, 04.04 N6-2372/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N73 საცხოვრებელი სახლის N54 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N73 საცხოვრებელი სახლის N54 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე როზა ნიშნიანიძეს /პირადი N60001095069/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N73 საცხოვრებელი სახლის N54 ბინაზე, საერთო ფართობი 61,64 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 35,60 კვ.მ, დამხმარე ფართობი 26,04 კვ.მ./ მოქალაქე როზა ნიშნიანიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურღულია